ოქმი:**ო08. 3726173001**

თარიღი:**22/06/2026**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 19 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14:00 – 14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ზ. მორჩილაძე, მ. ცქვიტიშვილი, დ. ასათიანი, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული(ს/კ. 26.18.18.497) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული, ჩამოსაწერი და საპრივატიზებო ობიექტები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი-პრივატიზების გეგმა კონკრეტულად კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ამხარი დაუჭირეს პრივატიზაციის გეგმის საკრებულოს მორიგ სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი-მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ საკითხი ეხება შემოქმდის ადმინისტრაციულ ერთეულში გონებისკარის უბანში არსებული მიწის ნაკვეთის შემოქმედის ეპარქიაზე გადაცემაზე თანხმობის მიცემას, რომელზეც აშენდა ეკლესია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი